პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №---

ქ. ოზურგეთი ----- აგვისტო 2024 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ურეკი 2-ის ტერიტორიაზე (ს. კ 26.35.02.088) ტურისტულ- დასასვენებელი სარეკრეაციო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის -- აგვისტოს N----------მომართვის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შეთანხმებული იქნას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ურეკი 2-ის ტერიტორიაზე (ს.კ26.35.02.088) ტურისტულ-დასასვენებელი სარეკრეაციო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.